ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4027187

ნომერი: AR1605160

თარიღი : 31.05.2018

გაცემის თარიღი : 21.06.2018

გაცნობის თარიღი : 29.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/226;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური ჭრიკიშვილი პ/ნ 12001091948
- გარდაბანი ს. ნორიო მე–13 I ჩიხი N 4ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 31

მაისს №AR1605160 განცხადებით მომართა თემურ ჭრიკიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/226 , თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.14.15.001.367), მრავალფუნქციური კომპლექსი/სპორტული დარბაზის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 24.03.2017 წ-დან 24.09.2020 წ-ის ჩათვლით.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანას და დამკვეთებად ავთანდილ ჭრიკიშვილის (პირადი ნომერი: 12031007307) და ვარლამ ლიპარტელიანის (პირადი ნომერი: 24031005547) ნაცვლად შპს ,,ჩემპიონთა სახლი''-ს (ID ნომერი: 405253292) დაფიქსირებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით თემურ ჭრიკიშვილი წარმოადგენს შპს ,,ჩემპიონთა სახლი''-ს (ID ნომერი: 405253292)
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის თარიღი: N 892018345609 - 25/04/2018 მომზადების თარიღი: 29/04/2018 11:34:33) წარმოადგენს შპს ,,ჩემპიონთა სახლი'' (ID ნომერი: 405253292) სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ჩემპიონთა სახლი'' (ID ნომერი: 405253292)
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 მარტის №3163715 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.